სახალხო გაზეთი

№ 341 ოთხშაბათი, 6 ივლისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 341

ᲐᲜᲒᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ

ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲤᲐᲡᲘ 5 ᲙᲐ�პ.

ᲐᲜᲒᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ

ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲤᲐᲡᲘ 5 ᲙᲐᲪ

ზარე არჯევანიშვილს. წაურთმევიათ ფულად 35 მან., ნაბადი, ჩოხა, ხანჯალი, მასრები და სხვა,—სულ 100 მანეთისა და ბუჩქებში ჩასაფრებულ ამხანაგებთან ერთად მიმალულან. ენერგიული ზომების წყალობით მცარცველები აღმოაჩინეს და შეიპყრეს. მათი ბელადი უმარ მაჰმედ ოღლი აღმოჩნდა.

✦ ბორჩალოს მაზრაში მდებარე სოიუნ ბეკ ედიგაროვის ბიბლის პლანტაციიდან მუშაობის დროს ორი ტუსაღი გაპარულა. ერთი მათგანი სურუკაშვილი, ცოტა ხნის შემდეგ მახლობელ ტყეში შეუპყრიათ, მეორე კი—პაველაშვილი მიმალულა.

დრამატიული საზოგადოების კრებაზე

4 მკათათვე.

როგორც იყო ამ დღეს შეგროვდა 22 წევრამდე, მაგრამ სამწუხაროდ კიდევ გამოჩნდა ისეთი მიზეზი, რომ კრება ერთხელ კიდევ გადადგა მომავალ ორშაბათ საღამოსათვის. კრებაზე განსახილველი იყო თ-დ ბ. თუმანიშვილის მოხსენება. პირველი და უმთავრესი საკითხი—კრების აზრით—ანტრეპრიზის საკითხი იყო. თუმანიშვილის წინადადებით დრამატიულმა საზოგადოებამ ანტრეპრიზას სამი-ოთხი წლით თავი უნდა დაანებოს და მთელი ენერგია სხვა საქმე მოანდომოს. ეს წინადადება ზოგიერთს თეატრის სრულიად მოსპობად მიაჩნია, ზოგნი კი ამტკიცებენ, რომ ეს დიდ-მნიშვნელოვანი საკითხია და გამგეობამ თავისი დასაბუთებული კოლექტიური მოხსენება უნდა წარმოგვიდგინოს. მასთან კრებამ აუცილებლად საჭიროდა სცნო გამგეობის თავმჯდომარის ნ. ქართველიშვილის დასწრებაც, რადგანაც, როგორც ერთი ენერგიული წევრი, კარგადაა ჩ ხედული საქმეში და საინტერესო ცნობების მოცემა შეუძლიანო. გამგეობის დაბსწრე წევრებმა განაცხადეს, თუმანიშვილის მოხსენების თაობაზე აზრი ჩვენცა გვაქვს შედგენილი, ჩვენც შეგვიძლიან ცნობები მოგაწოდოთ საერთოდ თეატრის მდგომარეობაზე, მაგრამ თუ მომავალ სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა-საც მოითხოვთ, ამას ერთ დღეში ვერ შევადგენთო.

კრება გადადიდო 11 მკათათვისათვის (ორშაბათი), საღამოს 8 საათისათვის.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

იმ წერილში, რომელსაც ბ-ნი კოკინია გაუგულისებია, ვამბობდი: „დარწმუნებული ვარ, რომ აღმოჩნდებიან ისეთი რწმუნებულნი, რომელნიც თხოვნაზე ხელს მოაწერენ პროტესტანტებს საგანგებო კრების მოწვევის შესახებ და შეიქმნება უაზრო კინკლაობა“.

მკითხველმა უკვე იცის, რომ ასეთი პროტესტი, 62 რწმუნებულის მიერ ხელ-მოწერილი, უკვე წარუდგა განსახილველად ზედამხედველი კომიტეტის და გამგეობის შეერთებულ სხდომას, რომელმაც იგი განუხილველად დასტოვა, რადგან შესაფერი მისამართი ვერ აერჩიათ პროტესტანტებს. ეხლა თურმე იგივე პროტესტანტები მეორე განცხადებას სთხზავენ ზედამხედველი კომიტეტის სახელობაზე. კვლავ ითხოვენ საგანგებო კრების მოწვევას წინა კრების დადგენილებათა გასაბათილებლად. მაგრამ მეშინია, ვაი თუ პროტესტანტების რიცხვმა იკლო.. და ეს შიში რომ საფუძვლიანია, იქიდან სჩანს, რომ წინა თხოვნაზე ისეთებსაც მოუწერიათ ხელი, რომელსაც არც კი სცოდნიათ პროტესტის შინაარსი. ეხლა, რა კი გაუგიათ პროტესტის შინაარსი უარს თურმე ამბობენ, რომ ასეთს განცხადებაზე ხელს არ მოვაწერდითო. არ ვიცი, იცის თუ არა ეს ამბავი ბ-მა კოკინიამ, და ჩვენ კი გვგონია, რომ ვერაფერი „სიმართლის მიმდევარნი“ უნდა იყვნენ ისინი, რომელნიც ასეთს პირებს პროტესტს ხელს აწერინებენ.

* * *

ქალაქში ხმა დადის, ვითომ ბანკის გამგეობას არა ჰსურდეს ახლად არჩეული დამფასებლის მოწვევა. ამის საბუთად იმას ასახელებენ, რომ თუმცა ძველ დამფასებლებს სამსახურის ვადა გაუვიდათ, მაინც თავის მოვალეობას ასრულებენ და იმის მოლოდინში არიან, დღეს თუ ხვალ მოგვიწვევენო. რამდენად საფუძვლიანია ეს ხმები, არ ვიცით; გვგონია, რომ გამგეობა ასეთს გზას არ დაადგება, რადგან იგი იმდენად მოლიპულია, რომ მის მეტი არავინ იზარალებს. „სიმართლის მიმდევარი“ ბ-ნი კოკინია რას აკეთებს ამ შემთხვევაში? — იკითხავს მკითხველი. იგი განაგრძობს დამფასებელი კომისიის წევრის მოვალეობის ასრულებას უთუოთ იმ შოსაზრებით, რომ მისთვის ქვეყანაზე არავითარი კანონი არ არსებობს გარდა იმის, რომ „ვიყავი და უნდა ვიქნე“ დამფასებლადაო.

* * *

დავანებოთ ბანკს თავი და ანგარიში გავუწიოთ ვაჭრობის გუჯის ნადებს. კარგ დღეებში დამყარებულმა წეს-რიგმა ვაჭრობის წარმოებისამ, ყველამ კარგად იცის, ჩაილურის წყალი დალია და ჩვენმა ვაჭრებმა ნელ-ნელა, შეპარებით ისე მოაწყეს საქმე, რომ ვაჭრობა ღამის 9 საათამდე სწარმოებდა. ნოქრები ტანში იშმუშნებოდნენ, ხანდახან პროტესტსაც აცხადებდნენ, მაკრამ, ხომ მოგეხსენებათ რა დროა ეხლა — ხმის ამოღებას ვერა ჰბედავდნენ. ასე მიდიოდა საქმე. მერე ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულმა კომისიამ შეიმუშავა სავაჭრო დაწესებულებაში მოსამსახურეთა ნორმალური მუშაობის დებულება, რომელსაც ჩვეულებრივი მსვლელობა მიეცა და ამ დღეებში კიდევაც დამტკიცდა. ამ დებულებით მუშაობა დილის 7-დან მხოლოდ საღამოს 7 საათამდე გრძელდება, შესაფერის დასვენებით. კანონს ხომ ასრულება უნდა და კიდევაც დაავალეს ვაჭრებს ახალი კანონების ასრულება, მაგრამ ვაი ამ ასრულებას. საჯარო ტირილი და გოდება არ გამართულა, თორემ სხვა ყველაფერი იყო ვაჭრების გულის წყროსის გამოსახატავად. ვაჭრებს ბანი მისცეს იმათაც, რომელნიც მიჩვეულნი იყვნენ სანოვაგის სყიდვას შუალამემდე და შემდეგაც და ისეთი ატმოსფერა შეიქმნა, რომ მთავრობაც კი ჩაერია საქმეში და წინადადება მისცა ქალაქის საბჭოს, ხელმეორეთ განიხილეთ თქვენგან მიღებული და ჩვენგან დადასტურებული კანონიო. ესეც რომ არ ყოფილიყო, საბჭოს ისედაც ჰსურდა ათვალწინებული „დებულების“ გადახედვა.

ეხლა, დარწმუნებული ვართ, მწარე გამოცდილებით განსწავლული საბჭო უფრო დაკვირვებით განიხილავს „დებულებას“ და რაღა ლაპარაკი უნდა, რომ მას „შესაფერად“ შეცვლის.

Pique.

მერძეოების კურსები სოფელ დიდ-კარაკლისში

სოფელ დიდ-კარაკლისში წელსაც 15 ივნისიდან მიწათ მოქმედების დეპარტამენტის მიერ მერძეობის კურსები გაიხსნა. კურსებს აღ. ზაქ. თამამშვილი ჰხელმძღვანელობს. კურსების მსმენელთა რიცხვი 40-მდეა, რომელთაგანაც მომეტებული სოფლის მასწავლებელია ეროვნებით გარდა ოთხისა ყველა სომეხია. ამათგან ორი რუსია (ერთი ქალი და ერთი ვაჟი) და ორიც ქართველი. ეს უკანასკნელი ქართულმა სასოფლო-საშეურნეო საზოგადოებამ გამოგზავნა. გასულ წლებთან შედარებით, კურსების მსმენელთა რიცხვი გაცილებით ნაკლებია...

კურსებზე ასწავლიან ყველისა, ერბო-კარაქის, კეფირის, სმეტანის, ხაჭოსი, მაწვნის ჩადებასა და რძის სისაღის გამორკვევას.

მეცადინეობა პრაკტიკული და თეორიტიულია. პრაკტიკული მეცადინეობა დილის 7 საათზე იწყება და 12 საათამდე გრძელდება. 12-იდან იწყება ლექციები მერძეობაზე და საქონლის მოვლა-მოშენებაზე. საღამოთი პრაკტიკული მეცადინეობა 4 საათიდან იწყება და დაახლოვებით 7-ამდე გრძელდება. 7 საათიდან იკითხება ლექციები სომხურად მიწადმოქმედებასა და მებოსტნეობაზე. ლექტორები სომხურ სასოფლო-სამეურნეო-საზოგადოებას მიუწვევია.

1 მკათათვეს ახიდან კურსების დასათვალიერებლად აქ შემოიარა მიწათმომწყობ და მიწათმომქმედების მთავარ მმართველის კავკასიის რწმუნებულმა ბ. არხიპოვმა. მას თან მოჰყვა ბ. ქალანთარი, რომელმაც ლექცია წაიკითხა საქონლის მოშენებაზე. ლექციაში აღნიშნა მომთაბარეობის ცუდი მხარეები საქონლის მოშენების საქმეში, მიჰმართა მსმენელთ, განსაკუთრებით სოფლის მასწავლებელთ და ურჩია, ჩაგონონ ხალხს, რათა მათ ხელი აიღონ მომთაბარეობაზე და სადაც მოსახერხებელია, ბინადარ მესაქონლეობას მიჰყონ ხელი.

ლექციის შემდეგ ბ. არხიპოვმა ყველას სათითაოდ გამოჰკითხა ვინაობა, თუ ვინ საიდგან არის მოსული და ან როდის მოვიდა კურსებზე. ინახულა პრაკტიკული მუშაობა კურსების მსმენელებისა, რომლითაც კმაყოფილი დარჩა. კურსების მსმენელებს უსურვა წარმატება და კურსებზე შეძენილი ცოდნის გავრცელება ხალხში.

ბ. არხიპოვი იმავე დღეს გამოემგზავრა ტფილისისაკენ.

2 მკათათვეს სომხური სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისავე დაკალებით ბ. ბარხუდარიანმა, რომელსაც რკინის გზის სადგური შაგალის მახლობლად მეფუტკრეობის კურსები ჰქონია მოწყობილი, მერძეობის კურსების მსმენელებს უჩვენა ფუტკრის გადაყვანა დაწნული სკიდან ჩარჩოიან სკაში. სამწუხაროდ ბ. ბარხუდარიანი მსმენელებს სომხურად უნმარტავდა, რის გამოც არა-სომეხთათვის მისი საუბარი გაუგებარი დარჩა.

ხ. კ.

ᲮᲛᲐ ᲦᲝᲠᲔᲨᲘᲓᲐᲜ

(შორაპნის მაზრა).

სოფელი ღორეშა კულტურულ-განათლების მხრივ ის აღარ არის, რაც მეცხრამეტე საუკუნეში იყო. მან ამ მხრივ შესაფერი ნაბიჯი გადადგა წინ. აქ არსებობს ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა, ახლად დაარსებული სამკითხველო ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისა, ჰყავს ამ სოფელს ხუთმეტიოდე ინტელიგენტი, რომლებისაგანაც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისინი იზრუნებენ ჩვენი სოფლის აყვავებისათვის, აღებ-მიცემობაც აქ თან და თან ვითარდება, ასე, რომ ჩვენს სოფელს წინ-სვლა ეტყობა. შარშან, 16 ივლისს, ადგილობრივმა ინტელიგენციამ მოხსენება წარუდგინა ქ. შ. წ. კ. გ. ს. ყვირილის განყოფილების გამგეობას ს. ღორეშაში წიგნთ-საკავ სამკითხველოს გახსნის თაობაზე. ყვირილის განყოფილებამ არ დააყოვნა და მაშინვე შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორთან, რომ მას ნება დაერთო განყოფილებისთვის გაეხსნა წიგნთ-საკავ სამკითხველო ღორეშაში. ორი თვის შემდეგ გუბერნატორმა ნება დართო ს. ღორეშაში წიგნთ-საკავ სამკითხველოს გახსნისა. სხვა და სხვა მიზეზისა გამო დღემდის სამკითხველოს საქმე ვერ მოეწყო. დღეს კი სამკითხველოს გამგემ ნიკოლოზ (სანია) ორჯონიკიძემ 29 ივნისს მოიწვია სამკითხველოს წევრნი ღორეშის კოლის შენობაში მორიგ საკითხების განსახილველად. სხდომაზე წევრთა ორი მესამედი გამოცხადდა. კრების თავმჯდომარედ მღ. სიმონ ჭუბურიძე აირჩიეს, მდივნად ვახტანგ რამინიშვილი

სანამ საკითხების გარჩევას შეუდგებოდნენ, სამკითხველოს წევრებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს განსვენებულ დავით ზ. სარაჯიშვილის ხსოვნას. შემდეგ სხდომამ ერთხმად არჩია სამკითხველოს გამგეობის წევრად შემდეგი პირნი: მ. მღ. სიმონ კურტანიძე, მღ. ს. ჭუმბურიძე მკ. დ. რამინიშვილი, სიმონ გ. ორჯონიკიძე, გურჯია ორჯონიკიძე, იოსებ ა. ორჯონიკიძე, მაქსიმ გაჩეჩილაძე, პავლე ბიწაძე და არისტოკლე რამინიშვილი.

მეორედ განხილული იქმნა საკითხი სამკითხველოსთვის ადგილისა და საკუთარი შენობის შეძენისა. ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია. ზოგი წევრი იმ აზრის იყო, რომ ეხლავ შეუდგეთ შენობის აგებასაო. უმრავლესობა იმ აზრს ადგა, რომ დროებით სამკითხველოსათვის ვიქირაოთ შენობა მარიამწყაროში, შემდეგ, როდესაც საშუალება მოგვეცემა, შევიძინოთ საკუთარი შენობაო. სხდომამ დაადგინა: დაქირავებულ იქმნეს დროებით მარიამ წყაროში სამკითხველოსათვის შენობა. სახსრის გამოძებნისთანავე სამკითხველოსათვის საკუთარი შენობა შეიძინოს. სამკითხველოს წევრმა ვაჭარმა ივლიანე ბარბაქაძემ განაცხადა, რომ ის მზადაა უფასოდ დაუთმოს, მარიამწყაროში ადგილი სამკითხველასთვის საკუთარი შენობის ასაგებად. მეორე წევრმა ნესტორ გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ ის გააკეთებს სამკითხველოსთვის თორმეტ სკამს, ერთ მაგიდას, ერთ შკაფს და ორ დიდს გრძელს სკამს, იმ პირობით რომ როცა სამკითხველოს საშუალება ექნება, მაშინ გადაუხადონ ამ ავეჯის ღირებულება.

სხდომამ დაადგინა: გამგეობის წევრებმა დაიქირავონ სამკითხველოსთვის შენობა მარიამ-წყაროში, ჩაიბარონ ნესტორ გაჩეჩილაძისაგან დგამი და ეხლავე შეუდგნენ საწევრო ფულის აკრებას.

ამავე სხდომაზე სამკითხველოს წევრებმა დაადგინეს: დაიდგას ამ ზაფხულს ერთი წარმოდგენა ღორეშაში დივერტისმენტით სამკითხველოს სასარგებლოდ. დასასრულ სხდომამ მადლობა გამოუცხადა ჟ.-გაზეთების დროებით უფასოდ გზავნისათვის შემდეგ რედაქციებს: „სახალხო გაზეთისას,“ „კოლხიდისას“ „განათლებისას“ და „კოოპერაციისას“ და აგრეთვე ვაჭარს ივლიანე ბარბაქაძეს, რომელმაც უფასოდ დაუთმო ადგილი მარიამწყაროში სამკითხველოს, ნესტორ გაჩეჩილაძეს, რომელიც დროებით უთმობს სამკითხველოსთვის დგამს.

ამ დღეს, ადგილობრივ ეკლესიაში, ღორეშის ინტელიგენციის და საზოგადოების ცოლითურთ ან ცოლიანათ. ჩვენ კი ამის თარგმნის დროს რუსულს თანდებულს „ს“-ს, რაიცა ქართულს „ურ“-ს უდრის, ვსტოვებთ და ვასასაცილოებთ ჩვენს ენასაც, ჩვენს თავსაც და ჩვენს ცოლსაცა. „ურ“ რომ მოვაკელით ფრაზას, ხელში დაგვრჩა მარტოოდენ მოქმედებითი ბრუნვა ცოდით. „ურ“ რომ არ გამოგვეტოვებინა და გვეთქვა ცოდითურ, მაშინ კანონიერი თქმა იქმნებოდა. ასეთი ქართული ჩვენთა თანამეცხედრეთაც ვასწავლეთ და ისინიც დაუჩიდებლათ ამბობენ ხოლმე: ქალაქში ქმარშვილით ჩამოვედიო, იმის მაგიერ, რომ ეთქვათ, ქმარშვილიანათო. დავუგდოთ ყური იმერეთში სოფლელს და გავიგონებთ: „ცოლშვილიანათ წავედი აქა და აქაო“, ცოლშვილიანათ გადღეგრძელოსთ ღმერთმაო“ და სხ. მეგრულშიაც ასეთი უხამსობა შეუძლებელია. მეგრელი ყოველთვის ასე ამბობს ხოლმე: „ჩილაჭო ქემეფრთი“ (ცოლიანათ მივედი): ჩიდ=ცოლი, ამო=ანათ. და როცა არსებითს სახელს ასეთის დამბოლოებითა ხმარობს, ყოველთვის გულისხმობს, რომ იგი საგანი მას მიჰყავს ხელით, ან მისდევს მარქაფათ. ხოლო როცა უნდა სთქვას ამავე მეგრელმა: ცხენზე ვიჯექ და ისე მოვედიო, იტყვის: ცხენით ქომოფრთი“ (ცხენით ქე მოვედი). ცხენით ამ შემთხვევაში მოგვიგებს კითხვაზე რით? და დაისმის ყოველთვის მოქმედებითს ბრუნვაზე.

დამატებითს სიტყვების ბრუნვები. ესა თუ ის ზმნა ამა თუ იმ კითხვაზე მოგვიგებს ხოლმე და წინადადების დამატებითი ნაწილი ამის და კვალად შესაფერ ბრუნვაზე უნდა იქმნას დასმული. მაგრამ რაც უფრო მეტათ გვეტყობა გავლენა რუსულის ენისა, მით უფრო ვშორდებით ამ მარით ქართულ ენის ზმნების კანონიერათ ხმარებას. ამას ხელს უწყობს აგრეთვე ჩვენი დაშორება ხალხურის ენისაგან. იშვიათს ჩვენს მწერალს ეტყობა ამ მხრივ უცოდველობა.

ხშირათ წარამარა ხმარობენ წინადადებაში დამატებითის სიტყვების ბრუნვას, ამბობენ და წერენ: ვიზრუნოთ გაჭირებულ ხალხზე; ვზრუნავ ქართულ ენის სიწმინდეზე და სხ. უკანონობაა. ზმნა ზრუნვა მოგვიგებს კითხვაზე რისთვის და ვისთვის? და დამატებითი სიტყვა წინადადებაში უნდა დაისოს ნათესაობითს ბრუნვაზე და არა მიცემითისაზე, როგორც დღეს ჩვენში შვრებიან. და უნდა ვთქვათ: ვიზრუნოთ გაჭირებულ ხალხისათვის; ვზრუნავ ქართულის ენის სიწმინდისათვის; „ნუ ჰზრუნავთ სულისა თქვენისათვის, რაჲ ჰსჭამოთ და რაჲ ჰსუათ, ნუცა ხორცითა თქუენთათვის (სახარება მათეს თ. 6, მ. 25); „ნუ ჰზრუნავთ ხვალისათვის“ (იქავე); „ნახე, რა ძალუძს შენთვის მზრუნველსა კაცისა ხელსა (ნ. ბარათაშვილი)“ და სხ.

ამ ზმნის მსგავსათ ზმნა ჭირვება-ც ნათესაობითს ბრუნვასა თხოულობს. არ ითქმის: „რაზე იჭირვებ საქმეს?“ არამედ: რისთვის იჭირვებ საქმეს? მაგ. „მწყემსი ჰხამსა, ცხოვართათვის იჭირვოდეს“ (სიბრძნე-სიცრუეე).

ზმნა ვფიქრობ მოგვიგებს კითხვაზე რას? არ ითქმის: ჩვენა ვფიქრობთ საქართველოს აღდგენაზე; არამედ: ვფიქრობთ საქართველოს აღდგენას. უკანონოა: „ყურადღება უნდა მიექციათ მოსწავლეთა უფფიქტვზე“; უნდა ყოფაქცევისათვის, ან უკეთ (უფრო ქართულათ) თვალყური უნდა ათხოვონ ხოლმე მოსწავლეთა ყოფაქცევას“.

ზმნები: დაჯდომა, დაწვება, ფრსვა მოგვიგებს კითხვაზე როგორ, რად, რამდენად? ამ კანონის დაცვაც ჩვენში მეტ ბარგად მიიჩნიათ და ამბობენ: სახლის აშენება დამიჯდა ათასი თუმანი; წიგნი ღირს მანეთი; ხორცი ფასობს გირვანქა ორი შაური; ფუთი ფქვილი ცხრა აბაზი გახდა“. ცხადი უკანონობაა. ამის მაგიერ უნდა ვსთქვათ: სახლის აშენება დამიჯდა (რამდენად?) ათას თუმნად; წიგნი ღირს (რამდენად?) მანეთად; ხორცი ფასობს (რად) გირვანქა შაურად; ფუთი ფქვილი გახდა (რამდენად?) ცხრა აბაზად. „ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს (რად?) არცა ჩირად (რუსთველი)“. — „სახალხო გაზეთის“ პირველ გვერდზე საჩინო ალაგას დაბეჭდილია: „ცალკე ნომერი ერთი შაური“ (აქ გაზეთის ან-ის შესახებაა ლაპარაკი). გამოშვებულია წინადადებაში შესმენილი, რაიცა ქართულ ენის ძირითადის კანონის თანახმად ყოვლად შეუწყნარებელია. რუსულში ხშირია, როცა ზმნა (განსაკუთრებით მოწესხითი ვარ და მაქვს) გამოშვებულია წინადადებისაგან, მაგრამ იგულისხმება კი და ამით წინადადების მთლიანობას არა უშავდება რა. ქართულში კი სულ სხვა საქმე გახლავსთ. თუნდაც რომ შევეურიგდეთ შესმენილის გამოშვებას, ზემო ამოწერილ ფრაზაში ეს შესმენილი უნდა იყოს ზმნა დაჯს, და მისი განმარტებელი სიტყვა კი სახელობითს ბრუნვაზეა. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ზმნა ღირს მოგვიგებს კითხვაზე რად? და, მაშასადამე, ქუდიანათ (ან ნაბდიანათ, ან კიდევ ნაბდიანი) შემოვედიო“. კალოშებიც (თუ მოგვის პოხჩა არ გვინდა ვიხმაროთ) ხომ იგივე სამოსია, მხოლოდ სხეულის სხვა ნაწილისა, ვიდრე ქუდია; და რომ ვთქვათ: კალოშებიანათ შემოვედი-თქო, ვითომ ღმერთი გვიწყენს?! ხომ ვამბობთ: უკალოშოთ გამოვედი სახლიდანაო? როცა ზედ გვაცვია, მაშინაცა ვთქვათ: კალოშიანათ-თქო. —ვამბობთ: მავანი ჩოხაშია გამოწყობილიო. არც ესაა ქართული თქმა. გამოწყობა რითი შეიძლება? უნდა ითქოს: ჩოხა-ახალუხით გამოწყობილია, ჩოხით დადის, ან უკეთესი: ჩოხა-ახალუხი აცვია. მაგრამ არაფრის დიდებით: მავანი ჩოხაშიაო (онъ въ черкескѣ) ან ჩოხაში დადისო (онъ ходитъ въ черкескѣ). ორივე რუსიციზმია და სათოფეზე არ უნდა გავაკაროთ ჩვენს სმენას როგორც პირველი, ისე მეორე.

ასეთს უმსგავსობასაც ვამბობთ ხოლმე: „ქალაქში მივდივარ ცოლშვილით“. ამით ქართველი თავისს ცოლ-შვილს ცხენისა გინა მატარებლის თვისებაც აკუთვნებს. არა გჯერათ? როცა ცხენსა ან მატარებელს მივუყვართ, ხომ ვამბობთ: ცხენით ან მატარებლით მივდივართო. როცა „ცოლით“ ჩამოვედიო, ვამბობთ, იმასა ნიშნავს, რომ ცოლს ვაჯექ (მკითხველთან ბოდიში მოგვითხოვნია) ზურგზე და ისე ჩამოვედიო. რუსულ ენას, საიდანაც ასეთს წინადადებასა ვთარგმნით, კარგათ რომ დავკვირვებოდით, ასეთს სასაცილო რასმე არ ვიტყოდით. რუსები ასეთს შემთხვევაში ასე ამბობენ: я пріѣхалъ съ женой, რაიცა ასე უნდა გადმოითარგმნოს: ჩამოვედი ცოლითურთ ან ცოლიანათ. ჩვენ კი ამის თარგმნის დროს რუსულს თანდებულს „ს“-ს, რაიცა ქართულს „ურ“-ს უდრის, ვსტოვებთ და ვასასაცილოებთ ჩვენს ენასაც, ჩვენს თავსაც და ჩვენს ცოლსაცა. „ურ“ რომ მოვაკელით ფრაზას, ხელში დაგვრჩა მარტოოდენ მოქმედებითი ბრუნვა ცოდით. „ურ“ რომ არ გამოგვეტოვებინა და გვეთქვა ცოდითურ, მაშინ კანონიერი თქმა იქმნებოდა. ასეთი ქართული ჩვენთა თანამეცხედრეთაც ვასწავლეთ და ისინიც დაუჩიდებლათ ამბობენ ხოლმე: ქალაქში ქმარშვილით ჩამოვედიო, იმის მაგიერ, რომ ეთქვათ, ქმარშვილიანათო. დავუგდოთ ყური იმერეთში სოფლელს და გავიგონებთ: „ცოლშვილიანათ წავედი აქა და აქაო“, ცოლშვილიანათ გადღეგრძელოსთ ღმერთმაო“ და სხ. მეგრულშიაც ასეთი უხამსობა შეუძლებელია. მეგრელი ყოველთვის ასე ამბობს ხოლმე: „ჩილაჭო ქემეფრთი“ (ცოლიანათ მივედი): ჩიდ=ცოლი, ამო=ანათ. და როცა არსებითს სახელს ასეთის დამბოლოებითა ხმარობს, ყოველთვის გულისხმობს, რომ იგი საგანი მას მიჰყავს ხელით, ან მისდევს მარქაფათ. ხოლო როცა უნდა სთქვას ამავე მეგრელმა: ცხენზე ვიჯექ და ისე მოვედიო, იტყვის: ცხენით ქომოფრთი“ (ცხენით ქე მოვედი). ცხენით ამ შემთხვევაში მოგვიგებს კითხვაზე რით? და დაისმის ყოველთვის მოქმედებითს ბრუნვაზე.

დამატებითს სიტყვების ბრუნვები. ესა თუ ის ზმნა ამა თუ იმ კითხვაზე მოგვიგებს ხოლმე და წინადადების დამატებითი ნაწილი ამის და კვალად შესაფერ ბრუნვაზე უნდა იქმ-

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ

(თანამედროვეთა ლაპარაკი და წერა *).

ამის მსგავსათვე ნ. აინჯათ და, თუ გნებავსთ, უარესათაც შემოპარებულია ფრაზა: „ამ წიგნის შინაარსი შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე“. ამით იმის თქმა გვინდა, ვითომ ესა და ეს წიგნი ფრიად კარგია, მოსაწონია, ღირსია ყოვლადის ყურადღებისაო. განა? ქართველის ყური რუსულის ენის გავლენით გარყვნილი თუ არ არის (მაგრამ ვაი რომ ყველა ასეთია!), მაშინათვე მიხვდება მთელს სიყალბეს წინადადებისას. აბა თუ არა! ზმნა ახდენს წარმოშობილია ხდენ-საგან, რაიცა ნიშნავს ფუჭებას, საგანს რომ კარგი რამ თვისება წაართვა. ასე რომ „წიგნი შთაბეჭდილებას ახდენს“ ქართულად რომ გავცხრილოთ, ხელში დაგვრჩება: წიგნი შთაბეჭდილებას აფუჭებს, არაფრად ვარგაო!.. და ამ ფრაზის მოტრფიალენი კი სიტყვა ახდენ-ს მშვენიერების, ღირსების გამომხატველად ხმარობენ!.. თუ მაინც და მაინც ამ ზმნის იქით ჩვენი ხსნა არ არის და, როგორც გულკეთილ ხალხს, გვინდა რუსების გული მოვიგოთ და მათი „производитъ впечатлѣніе“ (ამათაც სხვებისაგან აქვსთ თარგმნილი) ვთარგმნოთ, ხდენ-ს წინად მივუმატოთ თანდებული შა და ვთქვათ, შაახდენს-თქო. მართალია, შაახდენს-ს მომავალის დროის სახე აქვს, მაგრამ ეს ზმნაც იმ ჯგუფს ეკუთვნის ზმნათა, რომელთაც მომავალი და აწმყო ერთნაირათა აქვსთ. ანუ უკეთესი იქმნება ასეთი თქმა: შთაბეჭდილებასა მგვრის, შთაბეჭდილებას მომგვრის, შთაბეჭდილება მომგვარა და მ. სხ.

მართლა და სულ ყურ-მოჭრილ ყმებად ნუ დავუდგებით რუსულ ენასა და ნუ ვამბობთ ხოლმე: „სულით დავეცი“ (я упалъ духомъ)... თქვენ სხვა რამ სიკეთე ბრძანეთ, თორემ გუდის კბეტსა და გუდის წახდენა რამდენიც გნებავდესთ, იმდენი მოიკითხეთ ჩვენში.

საოაკილოა ასეთი ქართულიც: საქმე იმაშია (дѣло въ томъ). ეგეც რუსულის ენის ყმობაა და სხვა არაარა. ვთქვათ ხოლმე: საქმე ის არის, საქმე ის გახლავსთ. მთელი გლეხობა ასე ლაპარაკობს, ღვთით.

რუსულის გავლენითვეა შეთვისებული შემდეგი ფრაზა, რომელსაც ქართულს ენასთან არავითარი ნათესაობა აქვს: „მაპატიეთ, კალოშებში (ან გვაბანაკში) შემოვედი“. რუსი თუ ამბობს, я въ калошахъ вошелъ-ო, მისი ენა ჰგუობს სიტყვების ასეთს დაწყობას, მაგრამ ჩვენ რაღათ ვიწყრომებთ ცასა და ქვეყანას და ენას რათ ვასახიჩრებთ? „კალოშებში შემოვედი“ ქართულათ ისეთი თქმაა, რომ ღმერთსაც კი გაეცინება ამის გაგონებაზე, ხოლო ჩვენ ისე შევაჩვიეთ ყური, რომ არამც თუ არ გვეცინება, სხვამ რომ დაგვცინოს, გვეწყინება, მეტიჩრობაში ჩამოვართმევთ. გაგონილია შემოსვლა: სახლში, გინა ეკლესიაში, ან კიდევ ოთახში, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ ისე დავკნინდებოდეთ, რომ კალოშებშიაც კი შევეტევოდით!... იმერეთში (ქართლშიაც სოფლათ), ქუდ ან ნაბად-მოუხდელად რომ შემოვა ვინმე სახლში და ბოდიშის მოხდა უნდა, ამბობს ხოლმე: „უკაცრავათ, ქუდიანათ (ან ნაბდიანათ, ან კიდევ ნაბდიანი) შემოვედიო“. კალოშებიც (თუ მოგვის პოხჩა არ გვინდა ვიხმაროთ) ხომ იგივე სამოსია, მხოლოდ სხეულის სხვა ნაწილისა, ვიდრე ქუდია; და რომ ვთქვათ: კალოშებიანათ შემოვედი-თქო, ვითომ ღმერთი გვიწყენს?! ხომ ვამბობთ: უკალოშოთ გამოვედი სახლიდანაო? როცა ზედ გვაცვია, მაშინაცა ვთქვათ: კალოშიანათ-თქო. —ვამბობთ: მავანი ჩოხაშია გამოწყობილიო. არც ესაა ქართული თქმა. გამოწყობა რითი შეიძლება? უნდა ითქოს: ჩოხა-ახალუხით გამოწყობილია, ჩოხით დადის, ან უკეთესი: ჩოხა-ახალუხი აცვია. მაგრამ არაფრის დიდებით: მავანი ჩოხაშიაო (онъ въ черкескѣ) ან ჩოხაში დადისო (онъ ходитъ въ черкескѣ). ორივე რუსიციზმია და სათოფეზე არ უნდა გავაკაროთ ჩვენს სმენას როგორც პირველი, ისე მეორე.

ასეთს უმსგავსობასაც ვამბობთ ხოლმე: „ქალაქში მივდივარ ცოლშვილით“. ამით ქართველი თავისს ცოლ-შვილს ცხენისა გინა მატარებლის თვისებაც აკუთვნებს. არა გჯერათ? როცა ცხენსა ან მატარებელს მივუყვართ, ხომ ვამბობთ: ცხენით ან მატარებლით მივდივართო. როცა „ცოლით“ ჩამოვედიო, ვამბობთ, იმასა ნიშნავს, რომ ცოლს ვაჯექ (მკითხველთან ბოდიში მოგვითხოვნია) ზურგზე და ისე ჩამოვედიო. რუსულ ენას, საიდანაც ასეთს წინადადებასა ვთარგმნით, კარგათ რომ დავკვირვებოდით, ასეთს სასაცილო რასმე არ ვიტყოდით. რუსები ასეთს შემთხვევაში ასე ამბობენ: я пріѣхалъ съ женой, რაიცა ასე უნდა გადმოითარგმნოს: ჩამოვედი ცოლითურთ ან ცოლიანათ. ჩვენ კი ამის თარგმნის დროს რუსულს თანდებულს „ს“-ს, რაიცა ქართულს „ურ“-ს უდრის, ვსტოვებთ და ვასასაცილოებთ ჩვენს ენასაც, ჩვენს თავსაც და ჩვენს ცოლსაცა. „ურ“ რომ მოვაკელით ფრაზას, ხელში დაგვრჩა მარტოოდენ მოქმედებითი ბრუნვა ცოდით. „ურ“ რომ არ გამოგვეტოვებინა და გვეთქვა ცოდითურ, მაშინ კანონიერი თქმა იქმნებოდა. ასეთი ქართული ჩვენთა თანამეცხედრეთაც ვასწავლეთ და ისინიც დაუჩიდებლათ ამბობენ ხოლმე: ქალაქში ქმარშვილით ჩამოვედიო, იმის მაგიერ, რომ ეთქვათ, ქმარშვილიანათო. დავუგდოთ ყური იმერეთში სოფლელს და გავიგონებთ: „ცოლშვილიანათ წავედი აქა და აქაო“, ცოლშვილიანათ გადღეგრძელოსთ ღმერთმაო“ და სხ. მეგრულშიაც ასეთი უხამსობა შეუძლებელია. მეგრელი ყოველთვის ასე ამბობს ხოლმე: „ჩილაჭო ქემეფრთი“ (ცოლიანათ მივედი): ჩიდ=ცოლი, ამო=ანათ. და როცა არსებითს სახელს ასეთის დამბოლოებითა ხმარობს, ყოველთვის გულისხმობს, რომ იგი საგანი მას მიჰყავს ხელით, ან მისდევს მარქაფათ. ხოლო როცა უნდა სთქვას ამავე მეგრელმა: ცხენზე ვიჯექ და ისე მოვედიო, იტყვის: ცხენით ქომოფრთი“ (ცხენით ქე მოვედი). ცხენით ამ შემთხვევაში მოგვიგებს კითხვაზე რით? და დაისმის ყოველთვის მოქმედებითს ბრუნვაზე.

დამატებითს სიტყვების ბრუნვები. ესა თუ ის ზმნა ამა თუ იმ კითხვაზე მოგვიგებს ხოლმე და წინადადების დამატებითი ნაწილი ამის და კვალად შესაფერ ბრუნვაზე უნდა იქმ-

გადოების თანადასწრებით მღ. ს. ᲭᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔᲛ გადაიხადა პანაშვიდი ზ. სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად, პანაშვიდის წინ სიტყვა წარმოსთქვა მღ. ს. ᲭᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔᲛ და გაიკნო დამსწრეთ განსვენებული, როგორც ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე. პანაშვიდს ხალხი ბლომად დაესწრო.

მივმართავ ღორეშის ინტელიგენციას, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში სამსახურში მყოფთ, ღორეშის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დახმარება გაუწიონ, რითაც კი შეიძლება ე. ი. ფულით, წიგნებით, თუ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-გაზეთებით.

არისტოკლე რამინიშვილი.

ᲮᲝᲜᲘᲡ ᲐᲕ-ᲙᲐᲠᲒᲘ

სეზონის გახსნის შემდეგ მე-4 წარმოდგენა გაიმართა კვირას 19 ივნისს. წარმოადგინეს ისტორიული დრამა „კაი გრაკხი“. პიესა ცოტა არ იყვეს სუსტად ჩატარდა. სუსტობდნენ თითქმის ყველა ადგილობრივი სცენის მოყვარეები. მსახიობებს თუმც არა უშავდათ რა, მაგრამ სცენის მოყვარეთა ᲪᲣᲓᲘᲐ თამაშმა მათ თამაშსაც ელფერი დაუკარგა. მსახიობთა შორის თავისი მოხდენილი თამაშით ირჩეოდა ბ-ნი ვ. შალიკაშვილი, რომელიც ასრულებდა ელჩის როლს. შალიკაშვილი საზოგადოთ თავისი ხმით და შესაფერისი დიქცია-მიმიკით ხიბლავს საზოგადოებას. აგერ ამ სეზონში 4 წარმოდგენა გაიმართა და შალიკაშვილის თამაშით საზოგადოება ყოველთვის კმაყოფილი დარჩა. საუცხოოდ ასრულებდა ნამეტურ ალაგ-ალაგ კაი გრაკხის როლს ი. ზარდალიშვილი. ძნელი, გრაკხის დედის კორნელიას როლი საკმაოდ დასძლია და საკმაოდ ᲒᲖᲐᲠᲘᲐᲜᲐᲓ შეასრულა ქ-ნმა ნ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ. სცენის მოყვარეთა შორის როლები—შესაფერისად არ იყო განაწილებული. ასეთი პიესის პროვინციის სცენაზე დადგმა, ჩემის აზრით, ძნელია.

ამ საღამოს მშვიდობიანობას არღვევდა შ. გოგოლაშვილი, რომელიც წარმოდგენის დაწყებისას ურცხვად უყვიროდა ქ-ნ ეკ. ბახტაძისას. რაც უნდა დამნაშავე ყოფილიყო ეკ. ბახტაძისა, ზრდილობა მოითხოვდა არ ეყვირა და მით შეურაცყოფა არ მიეყენებინა ხალხში ბ-ნ შ. გოგოლაშვილს ქალისათვის.

— 29 ივნისს კიდევ გაიმართა წარმოდგენა. წარმოადგინეს დიმოვის სამოქმედებიანი დრამა „ისმინე ისრაელ“. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი. დივერტისმენტში წაიკითხეს ლექსები და სცენები დ. მებუკაშვილმა, ვ. შალიკაშვილმა და ი. ზარდალიშვილმა. ხალხი წარმოდგენას ძრიელ ცოტა დაესწრო. ისე ცოტა, რომ 20—25 მანათამდის ძლივს შემოსულა. ალბად ხონის ბრწყინვალე ინტელიგენტები კლუბში თუ იყვნენ.

რათა მკითხველისათვის ნათელი ყოფილიყო თუ რამდენი ხალხი დაესწრო წარმოდგენას, მისათვის აღვნიშნე წინა წარმოდგენის შემოსავალი. ასეთი ჩემი მოქმედება ბევრმა იუცხოვა და უკმაყოფილო შეიქმნენ ჩემი. რა კორესპონდენტის საქმეა წარმოდგენის შემოსავალის წერაო. ბ. ბ. თუ არ ყოფილიყო ჩემი საქმე არც დავწერდი. ჩემი მოვალეობა რაცაა თქვენზე კარგად მესმის. ადგილობრივი თეატრალური სექციის წევრები, როგორც გავიგე, უკმაყოფილო არიან თურმე ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების მოქმედებისა. ადგილობრივებს ფული გაუღიათ (17 მ.) და ტანისამოსის ქირაობა მოუნდომებიათ პიესა „კაი გრაკხის“ წარმოდგენის დროს. ქუთ. დრ. საზოგადოებას ტანისამოსი მიუქირავებია, მაგრამ რამდენიც იყო საჭირო იმდენი კი არ გამოუგზავნია. ასეთი მოქმედება ზემოდ აღნიშნულ საზოგადოებას არ მიეტევება. არ ეტევება, რადგანაც ტანისამოსის უქონლობა თუ რამდენად უკარგავს წარმოდგენას ელფერს, კარგად უნდა ესმოდეს ქუთ. დრ. საზოგადოებას.

როგორც ამას წინედ ᲕᲬᲔᲠᲓᲘ, ხონის ბაზარში ამ უკანასკნელ ხანებში საკმაო ცვლილება მოხდა. ეხლა ბაზარი განათებულია, ხიდები შეკეთებულია, ქუჩები ცოტათი არის უფრო გაწმენდილია და სხვა. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ბაზრის ასეთ განახლებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ადგილობრივ ბოქაულს ბ-ნ დუმბაძეს.

— ბაზრის დეპუტატებს ერთ დიდ ნაკლს ვამჩნევ. დეპუტატები ვალდებულნი არიან ყოველ თვის უკანასკნელ რიცხვებში ნიხრი შეადგინონ და პირველ რიცხვებში კი გამოაკრან. ნიხრის შედგენის დროს იმათ უნდა მოიწვიონ მოვაჭრეთაგან რამოდენიმე პირი. დეპუტატები სარგებლობენ ამით, იწვევენ ისეთ პირებს, რომლების ინტერესს და მიზანს შეადგენს ნიხრის გადიდება. მაგალითად, მეფურნე-მეყასბეებს. ერთი დეპუტატი ფქვილის გამყიდველია, მოწვეული პირები ფქვილის მყიდველებია, ამათგან რაღა გასაკვირველი იქმნება თუ პურის ნიხრი როგორც მათი ინტერესი მოითხოვს ისე შეაყენონ. მართლაც პურის ნიხრი ხონში არა კანონიერად არის შედგენილი. ხონელი მეფურნეები პირველი ხარისხის პურს არც აცხობენ, აცხობენ მე-3 თუ მე-4 ხარისხის პურს და ყიდიან 11 კაპეიკად ოყას (სამი გირვანქა). წარსულ თვეში პურის ნიხრი ოყაზე 10 კაპ. იყო, მეფურნეები კი 11 კაპეიკად ᲰᲧᲘᲓᲓᲔᲜ. ასეთი მეფურნეების თავ გასულობაზე ᲮᲛᲐᲡ არავინ იღებს. ვინ უნდა ამოიღოს ხმა, რასაკვირველია ბაზრის დეპუტატებმა და ბოქაულმა ერთი ბაზრის დეპუტატთაგანი ფქვილის გამყიდველია და ხომ დაიღუპა თუ მეფურნეებს აწყენინა. ასეთი გარემოების გამო მეფურნეებს თავიან თავგასულ მოქმედებაზე დეპუტატების მხრივ წინააღმდეგობა არ ხვდება. საჭიროა ნიხრის კანონიერად შედგენა და მის ასრულებას ᲧᲣᲠᲐᲦᲓᲔᲑᲐ ქციოს ადგილობრივმა ბოქაულმა მაინც.

— პარკი ხონში კვლავ შემოაქვთ. ფასებმა ეხლა მაინც ცოტა დაიწია. მიზეზი უამინდობაა. უწესრიგობა პარკის ყიდვა-გაყიდვის დროს კვლავ ხდება. წელს საზოგადოთ მოსავლით კმაყოფილნი არ არიან. **აქილესი.**

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲣᲕᲘᲪᲝᲒᲐᲜᲘ, ᲗᲣ ᲨᲐᲠᲘ?

21 ივნისს, მიმდინარე წელს დილის 10 ს. მატარებლით გამოვემგზავრე ტფილისს მეოღლითურთ და ერთი სამოქალაქო სასწავლებლის პატარა მოწაფითურთ. განჯის სადგურის კასირმა მომცა ორი მთელი ბილეთი და ერთიც სამავშვო. ᲯᲔᲠ პირველ სადგურს არ მოვახლოვებოდით, რომ კონტროლმა ჩამოიარა, ჩემსგნით ბილეთების ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ უმაღლეს ობერს უბძანა: „ბავშვი დიდია, თორმეტი წლისაზე მეტი და პირველ სადგურის უფროსს წარუდგინე დასაჯარიმებლადო!“

ობერმა აასრულა ბრძანება და ბავშვი ჩემთან ერთად სადგურის უფროსს წარუდგინა. ამ დროს უფროსთან ბლომა ხალხი იყო და მათ შორის ერთი მოძღვარიც. უფროსმა განცვიფრებით შეჰხედა ბავშვს და სთქვა მოეხმოთ კონტროლიორი. უკანასკნელი მოვიდა, უფროსმა შენიშნა, რომ ბავშვი ცხრა წლის მეტისა არ იქნება და დაჯარიმებაც უსამართლობაა. კონტროლმა იწყინა, ქვანაკრავივით ვაგონში შევიდა და გაბრაზებული ულვაშების (თუმცა ხელი ძლივს ევლებოდა) გრეხა და წიწკნა დაიწყო. ასე ბორგამდა სანამ ძეგამის სადგურთან გაჩერდებოდა მატარებელი; აქ ახლად მოეხსენებინა ძეგამის უფროსისათვის, რომ ბავშვი დაეჯარიმებინათ, მიიხმეს ბავშვი, მეც გავყევ; ჩემს გაკვირვებას საზღვარი არა ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, როცა უფროსმა მკითხა, ბავშვი უბილეთოაო? მე უჩვენე ორი მთელი ბილეთი, ერთიც ბავშვისა; ერთხანად უფროსი განცვიფრდა, რაღაც არა კეთილის თვალით შეჰხედა ᲧᲕᲔᲚᲐ მოხელეთ კანტროლიორიდან დაწყებული უკანასკნელ კონდუქტორამდე, მერმე რაღაზედაც ხელი მოაწერინა ერთს მათგანს და მე კი ერთი მანეთი და ხუთი შაური გადამახდევინეს. არ ვიცი, რა არის ეს 1 მ. 25 კ., ᲯᲐᲠᲘᲛᲐ, თუ ბილეთის ფასი?!

სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი **დ. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ.**

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ.

საფრანგეთში შემოიღეს მუშათა დამზღვევი კანონი, რომლის ძალითაც მუშას სიბერის დროს პენსია ეძლევა. საფრანგეთის სოციალისტების უმრავლესობა ამ კანონს არ იღებს. მიზეზი ის არის, რომ მუშებმა თავიანთ შემოსავლიდან უნდა შეჰქმნან ის თანხა, რომელიც მათ სიბერის დროს პენსიად მიეცემათ. სოციალისტები სწორედ ამის წინააღმდეგნი არიან. მათ უნდათ, რომ პენსია მუშებს ხაზინამ აძლიოს. წარსულ კვირას, საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის საბჭოს ამ კანონის თაობაზე კრება ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. ჟორესი ამტკიცებდა, ამ კანონის მიღება საჭიროა, რადგანაც მისი საფუძველი კარგიაო. თუ ამ კანონის ზოგიერთი პრინციპი არ ᲕᲐᲠᲒᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲝᲗᲝᲗ, რომ ეს პრინციპები ამ კანონს მოშორდესო. ჟორესს მხარი დაუჭირა ვალიანმა, მაგრამ გედმა გადაჭრით უარᲰᲧᲝ ეს კანონი. არც ერთი სოციალისტური პარტია ამისთანა კანონს არ მიიღებსო. კენჭის ყრით, საბჭომ 87 ხმით, წინააღმდეგ 52-სა, ეს კანონი უარ-ᲰᲧᲝ. ვალიანი, კენჭის ყრის შემდეგ, ეცადა მომრიგებელი წინადადება შეეტანა, მაგრამ გედის მომხრეებმა არც ეს მიიღეს.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ.

— ჩინეთის მთავრობამ ჩრდილოეთ მანჯურიაში მოხელეთაგან შემდგარი კომისია გაჰგზავნა. კომისიას გამოუკვლევია, რომ ᲮᲣᲜᲮᲣᲖᲔᲑᲡ ერთი მეზობელი სახელმწიფო აძლევს იარაღს. ამბობენ, ეს ამბავი საქვეყნოდ გადაიქცევაო.

— ერთი ᲞᲔᲙᲘᲜᲔᲚᲘ გაზეთი იტყობინება: რევოლიუციონერებმა მოქმედება გააძლიერესო. ძალიან ᲧᲝᲤᲘᲚᲐ საქმე გამწვავებული კუანგსის ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲨᲘ. აქ რევოლიუციონერებს პროკლამაციები გაუკრავთ. ამ პროკლამაციებით რევოლიუციონერები ხალხს ურჩევენ, მანჯურელი დინასტია ტახტიდან ჩამოაგდეთო. ეს დინასტია ჩინეთს უცხოელებზე ნაწილ-ნაწილ ᲰᲧᲘᲓᲘს, იმ იმედით, რომ თუ ხალხი აჯანყდა, უცხოელები მიშველიანო. აგრეთვე ჩინეთის გაყოფაზე ხმას ავრცელებენ. ამბობენ, მთავრობას რკინის გზების ხელში ჩაგდება უნდა, რომ ხალხს უფრო ადვილად ებრძოლოსო.

— ჩინეთის მთავრობამ ინგლისიდან ორი უმაღლესი მეზღვაური აფიცერი მოიწვია. ᲔᲠᲗᲘ მათგანი მეზღვაურთ გაუწევს ხელმძღვანელობას, მეორე საზღვაო სამინისტროს რეფორმების მოხდენაში მიეშველება.

ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘ

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ.

4 მკითხველ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. „სტანდარტს“ თეირანიდან დეპეშით ატყობინებენ, სალარუდ-დოულემ თავის ძმა, შახად ნამყოფი მაჰმედ-ალი, შახად გამოაცხადა და 3 ათასი ᲥᲕᲔᲘᲗᲐ და 800 ცხენოსანი სამანდას გაჰგზავნაო. ᲯᲐᲠᲘ სამადანი აუღია. თეირანში პარლამენტის წინააღმდეგ გაბრაზებულნი არიან. დაუჯერებელი უწესოებანი ხდება. მეჯლისსა და საპეხდარს მოულაპარაკიათ და ერთხმად გადაუწყვეტიათ სარდარ-ასადის მოწვევა. სარდარ-ასადი მეამბოხეთა მეთაურთ უნდა მოელაპარაკოს.

თეირანი. უწესოება სპარსეთში დიდი სისწრაფით იზრდება. თეირანში აჯანყება და ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲐ გაძლიერდა. ხორასანი და ასტრაბადი დედა-ქალაქს მოსწყდა. თალიშში აჯანყებაა. გუბერნატორი გაიქცა. ᲧᲐᲖᲕᲘᲜᲨᲘᲐᲪ უწესოება და ᲪᲐᲠᲪᲕᲐ-ᲒᲚᲣᲯᲐᲐ. ᲧᲐᲠᲐᲓᲐᲒᲨᲘ სომხების სოფლები აიკლეს. სენე ᲥᲣᲠᲗᲔᲑᲗᲐ ხელთ ᲩᲐᲘᲪᲓᲔᲡ.

ამ ამბებს ᲰᲛᲐᲚᲐᲕᲔᲜ, მაგრამ ეს ამბები ლონდონის საზოგადოებას მაინც შეაშინებს და სესხს შეაფერხებს. ამერიკელმა შუსტერმა, რომელსაც მეჯლისმა დიდი რწმუნებულება მისცა, სცდილობს, რომ ბელგიელთა საბაჟოს მოქმედება ხელთ ᲩᲐᲘᲒᲓᲝᲡ.

თეირანი. ბატონიშვილმა სალარუდ-დოულემ ᲥᲣᲠᲗᲔᲑᲘᲡ შემწეობით სპარსეთის ᲥᲣᲠᲗᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ დაპყრო და ხამადანუს ემუქრება. პროკლამაციებითა და მეჯლისისადმი გაგზავნილი დეპეშებით მან მაჰმედ-ალის შახად გამოაცხადა, თავისი თავი კი ტახტის კანონიერ მემკვიდრედ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

მკითხველებმა იციან, რომ სპარსეთის სამინისტრო მთლიანად გადადგა. ამბობენ, პარლამენტმა საპეხდარი გაამასხარავა, ᲯᲔᲠ დაბრუნება სთხოვა და როცა საპეხდარი დაბრუნდა მასთან. მუშაობის უარი სთქვაო. მეჯლისი ᲩᲣᲛᲐᲓ არის. ისე იქცევა, ვითომც არაფერი არ იკის და არც ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ თუ ვინ ᲩᲐᲓᲒᲔᲑᲐ სახელმწიფოს სათავეში. ამ პოლიტიკური ტრაგი-კომედიის ᲧᲕᲔᲚᲐ მოქმედებანი სადღაც ᲙᲣᲚᲘᲡᲔᲑᲨᲘ სწარმოებს. არავინ იცის ხვალ რა მოხდება.

— ამბობენ, ტახტის მაძიებელი სალარ-დოულე, რომელიც ᲥᲣᲠᲗᲘᲡᲢᲐᲜᲨᲘ მოქმედობს, ფულს ოსმალეთისაგან ᲘᲦᲔᲑᲡ! ᲥᲣᲠᲗᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ გუბერნატორი გაიქცა. სალარ-დოულეს თეირანის წარჩინებულთათვის და მეჯლისისათვის დეპეშა გაუგზავნია. იგი ამბობს, მე უსამართლოდ გამაძევეს და ამიტომ იძულებული ვარ ეხლანდელ მთავრობას ᲕᲔᲑᲠᲫᲝᲚᲝᲗ. სალარ-დოულე—გადაყენებული შაჰის ᲫᲛᲐᲐ.

დამე მისი განმარტებელი სიტყვაც ცვალებითს ბრუნვაზე უნდა დაისვას და ითქვას: ᲪᲐᲚᲙᲔ ნომერი (ღირს) ერთ შაურად.

იმერეთში, განსაკუთრებით გურია-სამეგრელოში, დარჩენილია ერთი ძველი ᲤᲝᲠᲛᲐ მეტ-ცვლილებისა, რომლის ძალით ზოგიერთი შემოქმედებითის გვარის ზმნა შესმენილია წინადადებაში და ქვემდებარე მოთხრობითის ᲑᲠᲣᲜᲕᲐᲖᲔ. ხოლო თანამედროვე ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲨᲘ იმაკე ზმნასთან ᲮᲛᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ქვემდებარე სახელობითს ᲑᲠᲣᲜᲕᲐᲖᲔ. მაგ. იმერეთში ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ: კაცმა მოვიდა, ᲑᲐᲕᲨᲕᲛᲐ დაწვა და სხ ᲓᲦᲔᲡ კი ასე ᲐᲛᲑᲝᲑᲗ: კაცი მოვიდა, ᲑᲐᲕᲨᲕᲘ დაწვა. ესეთი ᲤᲝᲠᲛᲐ სახარების ენაში ᲮᲨᲘᲠᲘᲐ. მაგ. „და მოსე ამცნო ᲰᲡᲯᲣᲚᲡᲐ შინა ᲩᲣᲔᲜᲡᲐ ესე-ვითართა ᲭᲡᲚᲐᲓᲐᲙᲠᲔᲑᲐ (სახ. იონესი, თ. 8, მ. 5)“; „მიუკო იესო და ᲰᲠᲥᲕᲐ მით“ (იქავე, მუხ. 14)“ გარნა თანამედროვე ქართულმა ეს ᲤᲝᲠᲛᲐ არ შეიწყნარა და დღეს ასე ᲕᲘᲢᲧᲐᲕᲘთ ხოლმე: მოსემ ამცნო (ქვემდებარე მოთხრობითს ᲑᲠᲣᲜᲕᲐᲖᲔ), მიუგო იესომ, სანამ „ᲘᲕᲠᲘᲘᲡ“ მართლწერა მეფობდა, სამწერლო ქართულში ამ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ საშინლათა დევნიდენ, და მხოლოთ ლაპარაკში თუ-ღა მოიგონებდით. ამ უკანასკნელ ხანებში ისევ ამოᲰᲧᲝ თავი, განსაკუთრებით გურიელ მწერალთა ნაწერებში. ᲯᲔᲠ არს ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ საშუალებით არ განვამტკიცოთ ეს უკანონობა და დროით განვდევნოთ.

დასარულ აღვნიშნოთ უკანონო მიმოხვრა ზმნა მესაᲬᲘᲠᲝᲔᲑᲐ-სი. ამასაც რუსულითგან თარგმნიან და ასეთს ფრაზას ადგენენ თანამედროვე მორუსულე ქართველნი: ᲕᲡᲐᲤᲘᲠᲝᲔᲑ შენს დახმარებაში (ვითომ нуждаюсь въ твоемъ содѣйствіи). ვინც შეჩვეული არ არის, ორივ ᲧᲣᲠᲘ უნდა დაიცოს ამ უხამსობის გაგონებაზე. ᲰᲙᲕᲘᲠᲝᲑთ, საიდან გამოატყვრინეს ეს უხიაგი ᲕᲡᲯᲘᲠᲝᲔᲑ-ᲨᲘ, როცა ᲯᲔᲠ ეს ერთი, რომ პირველი კარი ამ ზმნისა არის: მესაᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ, მᲭᲘᲠᲘᲐ ან მᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ, მეორე პირი: გესაᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ, გᲭᲘᲠᲘᲐ, ანუ გᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ, მესამე: ესაᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ, ᲭᲘᲠᲘᲐ ან ᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ და სხ. მეორეც ისა, რომ ასე მიმოხრილი ზმნა მოგვიგეს კითხვაზე: რაᲐ? მაგ. მესაᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ ან მᲭᲘᲠᲘᲐ ᲨᲔᲜᲘ სამსახურიᲐ, მᲭᲘᲠᲘᲐ ᲤᲣᲚᲘᲐ, და არის დადებით: „ᲕᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑ ᲤᲣᲚᲘᲨᲘ“, რაიცა ᲠᲣᲡᲘᲪᲘᲖᲛᲘᲐ ᲣᲯᲔᲠᲝ, შეუწყნარებელი.

ᲠᲘᲪᲮᲕᲜᲐ შესმენილისა წინადადებაშიᲐ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲡ ᲔᲜᲐᲡ სხვა ენებთან შედარებით ერთი ᲜᲘᲨᲐᲜᲓᲝᲑᲚᲘᲕᲘ თვისება აქვს. ისა, რომ თუ ქვემდებარე უსულო საგანია ან განყენებითი ცნებაა და მრავლობითად ხმარებულია, შესმენილი მხოლობითად იხმარება. მაგ. ბაღში ხეები დგას (და არა დგანან): ᲠᲘᲣᲔᲖᲔ ᲥᲕᲘᲑᲘ ᲧᲠᲘᲐ; ᲩᲔᲛᲘ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲡᲐ სამშობლოს თავს დასტრიალებს. მაგრამ თუ ქვემდებარის მრავლობითი რიცვი ძველებურის ᲤᲝᲠᲛᲘᲗ იბრუნვის, მაშინ შესმენილის რიცხვიც პირველისას ეთანხმება. მაგ. ბაღში ხენი დგანან; რიუეზე ᲥᲕᲜᲘ ᲧᲠᲘᲚᲐᲠᲘᲐᲜ; ᲤᲘᲥᲠᲜᲘ ᲩᲔᲛᲜᲘ ᲩᲔᲛᲡᲐ სამშობლოს თავს დასტრიალებენ; ᲬᲧᲐᲚᲜᲘ ᲬᲐᲕᲚᲔᲜ და ᲬᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜ, ᲥᲕᲘᲨᲐᲜᲘ ᲫᲘᲠᲘ დარჩებიან(ანდაზა)“, ოდეს ქვემდებარე სულიერი საგანია, მისს რიცხვს ეთანხმება შესმენილისაცა, როგორც ძველებურისა, ისე ახალის დაბოლოვებით ხმარების დროს. მაგრამ ამას ზოგნი ᲧᲣᲠᲡ არ უგდებენ, და ასეთი გვესმის ᲮᲝᲚᲛᲔ: ᲮᲔᲔᲑᲘ ᲓᲒᲐᲜᲐᲜ; ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲬᲐᲥᲪᲜᲔᲜ; ᲓᲐᲠᲓᲔᲑᲘ ᲐᲛᲔᲨᲐᲚᲔᲜ და სხ.

ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡᲐᲪ ᲒᲕᲭᲘᲠᲘᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲘᲡ რიცხვის შეთანხმება შესმენილის რიცხვთან. ამბობენ: „ორი კაცი მიდიოდენ გზასა“, რაიცა უკანონო თქმა არი, მართალია, ერთზე მეტს რიცხვს გვიჩვენებს, მაგრამ იბრუნვის როგორც მხოლობითის ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ სახელი და მისი შესმენილიც მხოლობითად იხმარების. მაშასადამე, უნდა ითქოს: „ორი კაცი მიდიოდა გზასა“; „ასმა სულმა ცხვარმა რომ ხეს შებღავლოს, ისიც გახმება (ანდაზა)“.. ᲮᲝᲚᲝ თუ იგივე მრავლობითის რიცხვის სახელი ძველებურის მრავლობითის ᲤᲝᲠᲛᲘᲡ დაბოლოებით ვიხმარეთ, მაშინ შესმენილიც მრავლობითად უნდა. მაგ. „ორნი ძმანი ᲥᲝᲠᲬᲚᲘᲗᲘᲪ არ წავლენ (ანდაზა). ამავე კანონს ᲔᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲐ დასართავი სახელი რამდენიმე. მაგ. უნდა ითქვას: „რამდენიმე დღე გავიდა“ (და არა რამდენიმე დღეები გავიდენ); „რამდენნიმე დღენი გავიდენ“.

ᲩᲕᲔᲜᲘᲜ მწერალნი არამცთუ წინადადების წევრთა რიცხვების შეთანხმების წესს არ იცავენ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ორს რთულს წინადადებაში სულ სხვადასხვა დროსაც ხმარობენ. მაგ. „ციხის მეორე განყოფილებაში ზედამხედველმა (ციხისამ) შემᲬᲜᲘᲐ, რომ ნარის ქვეშ (უნდა ᲜᲐᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ) ცემენტის იატაკი აᲩᲘᲩᲥᲜᲘᲚᲘᲐ („სახ. გაზ.“ № 379). პირველს წინადადებაში შესმენილი შემᲩᲜᲘᲐ ნამყოსრულის დროშია, ᲮᲝᲚᲝ მეორე დამატებითს წინადადებაში აᲩᲘᲩᲥᲜᲘᲚᲘᲐ აწმყო დროშია. ᲣᲜᲓᲐ კი ყოფილიყო: იატაკი აეᲩᲘᲩᲥᲜᲐთ.

ᲖᲛᲜᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲗᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲮᲝᲚᲛᲔ. სანამ ზმნის შესახებ საუბარს გავათავებდეთ, მოვიხსენიოთ ერთი მისი მავითარებელ ნაწილთაგანი—ᲮᲝᲚᲛᲔ. ეს ნაწილი ᲩᲕᲔᲜᲡ ᲖᲛᲜᲐᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲗᲐ სპირდება. იმის საშუალებით საგნის ამა თუ იმ მოქმედებას მრავალგზობითი სახე ეძლევა. მაგ. მე ვსვამდი წყალსა. აქ ზმნა ᲕᲡᲯᲐᲛᲓᲘ ნამყოფსრულ დროშია და გვამცნევს, რომ ერთხელ ვსვამდი წყალსაო. თუ ᲮᲝᲚᲝᲛᲔ ᲛᲘᲕᲣᲛᲐᲢᲔᲗ და ვთქვით: მე ვსვამდი ᲮᲝᲚᲝᲛᲔ წყალსაო, მაშინ გეცოდინებით, რომ წყლის სმა არა ერთხელ დამიწყია და განმიგრძია. „მამა-ჩემი მეტყოდა ᲮᲝᲚᲝᲛᲔ: ისწავლე, შვილო, რუსული, დიდი კაცი გახდებიო“. აქ ᲛᲔᲢᲧᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲝᲛᲔ გვამცნევს, რომ მამას არა ერთხელ უთქვამს, არამედ მრავალ-გზობითათ. დღეს კი ᲩᲕᲔᲜ ᲐᲜ ᲡᲣᲚ დაგვავიწყდა, როდის იხმარების ᲮᲝᲚᲝᲛᲔ, ᲐᲜ თუ ვიხმართ, უეჭველათ შეცთომილათ. ᲮᲝᲚᲝᲛᲔ იმერთა-ლაპარაკში თითქმის ამოᲥᲛᲣᲚᲘᲐ, თუ სული უდგას, ისევ ქართლ-კახეთში.

II—ᲛᲐᲠᲗᲚᲬᲔᲠᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐ. წლის მეთორმეტე ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვა ᲩᲕᲔᲜᲨᲘ დღეს ასე იწერება: თᲬᲔ. უნდა კი იწერებოდეს ორის თ ნის საშუალებით: თთᲬᲔ, როგორც ეს ძველს მწერლობაშიაც არის. მაგ. „არა თქᲕᲜ იტყᲒთა, ᲕᲘᲗᲐᲠᲛᲔᲓ ოთხლა თთᲬᲔ არიან და მოვალს მკაᲐ (სახარ. იოანესი თავი 4, მუხ. 35)“. როცა ასე არა ᲕᲮᲛᲐᲠᲝᲗ, წერაში აზრის გამოცნობას გვიჭირებს ᲮᲨᲘᲠᲐᲗ, განსაკუთრებით როცა ნათესაობითს ᲑᲠᲣᲜᲕᲐᲖᲔ ᲕᲕᲘᲜ. და დავაყენოთ. თუ დავწერეთ მარტო ერთის თ-ით თᲬᲘᲡᲗ, აგვერევა ნაცვალ სახელის თᲬᲘᲡᲘᲡ მიცემითს თრუნვასთან, როცა ამ უკანასკნელს სიმოკლისათვის ბოლოს ერთს ᲡᲐ-ᲜᲘᲡ ვაკლებთ.

სიტყვა დᲐ (დედამის ნაშობი ქალი ᲫᲛისათვის) ძველთაგან ასე იწერებოდა: დᲐᲓ, ხალხიც ასე გამოთქვამს იმერეთ-ამერეთში. ᲩᲕᲔᲜ კი Д მოვაკვეცეთ და უამისოთ კი ᲮᲨᲘᲠᲐᲗ გვეშლება გამოცნობა: წინადადებაში შემაერთებელი კავშირია, თუ დედამის ნაშობს მდედრობითის სქესის არსებასა ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ. მაგ. „იქა (სამშობლო სოფელში) მარხია დედა, მამა, ორი ძმა და ერთი და და ამასთან ერთათ ᲩᲔᲛᲘ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲙᲐᲪᲝᲑᲐᲪᲐ (ილ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ)“. დამეთანხმეთ, რომ ამდენ დ-ში ძნელია გამოიცნოს კაცმა აზრი მაშინაც კი, როცა ეს ნაწერი თვით ილია ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔს ეკუთვნის! თუ სულიერ არსების სახელს Д-ს არ შივუმატებთ, ის მაინც შემოვიღოთ, რომ კავშირი და ნაწერსა და ნაბეᲭდში სხვა ნაირათ იწერებოდეს (Д-ნი Д-ნს ზემოდან ᲐᲯᲓᲔᲡ ᲮᲝᲚᲝᲛᲔ).

სიტყვა ᲬᲛᲘᲓᲐ-ც ᲮᲨᲘᲠᲐᲗ გამოიწვევს აზრთა ორᲤᲮᲝᲤᲝᲑᲐს ლაპარაკსა თუ წერაში. ეს სიტყვა ორნაირათ იწერება: წᲛᲘᲓᲐ და წᲛᲘᲜᲓᲐ. პირველ შემთხვევაში შუაში უ-ნ-�თ ხმარებული ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ: საღმრთო და სარწმუნოებრივის სიწმიდეს, მაგ. წᲛ. გიორგი, წᲛᲘᲓᲐ სახარება, წᲛᲘᲓᲐ ეკლესია, ᲮᲝᲚᲝ ᲩᲕᲔᲜ ᲬᲛᲘᲓᲐს, უ-ნ-ᲠᲝᲗ ᲕᲮᲛᲐᲠᲝᲗ ᲮᲝᲚᲝᲛᲔ იქაც, საცა უნდა აღვნიშნოთ სუფთა, ყოვლის ზადისა და ᲮᲘᲜᲯᲘᲡაგან თავისუფალი რამე, არა საღმრთო და სარწმუნოებრივი, მაგ. ენა, წყალი, ლაპარაკი. დიდი შეცდომაა უგულებულ ᲕᲧᲝᲗ ეს სხვაობა, რომელიც ᲩᲕᲔᲜ ᲔᲜᲐᲨᲘ არსებობს ამ ორის ᲪᲜᲔᲑᲘᲡ შესახებ. ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲔᲡ გვესმის ეკლესიაში: წᲛᲘᲓᲐᲝ ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, წᲛᲘᲓᲐᲝ ᲫᲚᲘᲔᲠᲝ, წᲛᲘᲓᲐᲝ ᲣᲙᲕᲓᲐᲝ... „მწᲧᲔᲛᲡᲝ კეთილო, შენს წᲛᲘᲓᲐს სამწᲧᲡᲝს შეᲮᲕᲐᲕᲔᲓᲠᲔᲑ ᲩᲔᲛᲡᲐ სამეფოს (ნ. ბარათაშვილი)“; წᲛᲘᲓᲐ ᲑᲔᲠᲘ წᲛᲘᲜᲓᲐთ წᲐᲧᲓᲐ (ანდაზა)“. ᲮᲝᲚᲝᲛ როცა გამოვხატავთ სიწᲛᲘᲜᲓᲔს ამა ქვეᲧᲜᲘᲣᲠᲡა, შუაში უნდა ᲩᲐᲕᲣᲠᲗᲝᲗ Ნ-ᲠᲘ. მაგ. „ᲪᲐ მᲮᲬᲔᲜᲓᲐᲓᲐ, ᲪᲐ მᲛᲕᲔ

ევროპა და მაროკო

დეპეშები

4 მკათათვე.

პარიზი. აგადირიდან მოსული ცნობების მიხედვით იქ სრული მშვიდობიანობაა. კრეისერ „ბერლინი“-ს მეზღვაურნი ყოველ დღე ორმოც-ორმოცი კაცი გადმოდის ნაპირზე და ადგილებსა ჰზვერავს.

ბერლინი. ჰავასის სააგენტოს ცნობებს აქაური პოლიტიკური წრეები უარსა ჰყოფენ. აგადირში კანონერკა „ებერი“ მუშაობსო, კრეისერი „ბერლინი“ კუნძულ ტენერიფასთანაა და ნახშირის სურსათით იტვირთებაო. მას არავითარი სამხედრო მიზანი არა აქვს. გერმანიას აგადირში რამე მოქმედება აზრადაც კი არა აქვსო.

გაზეთებიდან.

ისპანიისა და საფრანგეთს შორის მდგომარეობა გამწვავებულია. ისპანელი პოლკოვნიკი სილვესტრი, რომელიც მაროკოში მყოფ ჯარებს ჰმეთაურობს ისე იქცევა, რომ ისპანელებისა და მაროკოს ჯარების შეტაკება ადვილი შესაძლებელია. ამან გამოიწვია ხმები, რომ საფრანგეთ-იაპონიის დიპლომატიური მოლაპარაკება შესწყდებაო. ამ გამწვავებამ გერმანიის დიპლომატიური წრეებიც შეაშფოთა. ეშინიანთ, ვაი თუ ისპანია-საფრანგეთის შეტაკებამ, საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკებაზე ცუდად იმოქმედოსო. ხმა გავრცელდა, თავის ადრიდელ ელჩს გერმანიის მთავრობამ შეუთვალა, გადაეცი ისპანიის მთავრობას, რომ თუ საფრანგეთთან უთანხმოება მოხდებიდა, გერმანია მხარს არ დაუჭერსო.

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკება ისევ საიდუმლოდ სწარმოებს და იმედი აქვთ, რომ საქმე სრული მორიგებით გათავდებაო. თუ-კი კი, პარიზში მყოფ გერმანელებს ბრძანება მოუვიდათ, თუ მობილიზაცია გამოცხადდება, 24 საათის განმავლობაში პარიზიდან სამშობლოში დაბრუნდითო.

ინგლისის ესკადრამ, რომელიც ტრიესტიდან ფიუბეს მიდიოდა, უმავთულო დეპეშით ბრძანება მიიღო, სამი ჯავშნოსანი ჰიბრალტარს წავიდნენო. ჯავშნოსნები უკვე წავიდნენ.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 მკათათვე.

საზღვარ-გარედ.

სოფია. გაიხსნა მასწავლებელთა კონგრესის მე-17 კრება. კამოცხადა 130 დელეგატი. კონგრესს 5000 წევრის ამედი აქვს. შეიტანეს წინადადება, რომ საერთო დიდი კრების მეთაურეს პარტიას, რომელიც კონსტიტუციის ხელ-შეუხლებლობას იცავს, სალამი გადასცეს 40 კაცმა, უმთავრესად რადიკალებმა, ამაზე ბრძოლა გაჩაღდეს, მასწავლებელთა კონგრესი პოლიტიკაში არ უნდა ერეოდესო, მაგრამ კრებამ ხმის უმრავლესობით პირველი წინადადება ძალიდ.

ბარცელონა. სოციალისტებსა და რესპუბლიკანელებს პოლიციასთან შეტაკება მოუხდათ. რამდენიმე კაცი დაჭრილა. 20 დაატუსადეს.

დიუბუა. (ბელგიანია) ქვანახშირის მადნებში აფეთქება მოხდა. 22 კაცი დაიდუნა.

ცეტინიე. სააგენტოს კორესპონდენტს ოსმალეთის ელჩმა უთხრა, ადანელთა საკითხი მალე გადაწყდებაო. ელჩის სიტყვით, ოსმალეთს ჩერნოგორიასთან შეგებრობის დარდვეა არა ჰსურს.

ვენა. ჩუხელ ქალთა დიდი დეპუტაცია მინისტრ-პრეზიდენტს და ზოგიერთ დეპუტატს ეწვია და ქალთათვის საარჩევნო უფლება სთხოვა. მინისტრმა და დეპუტატებმა დეპუტაცია დაარწმუნეს, რომ ქალების სურვილს კეთილად მოეპყრობიანო.

სტამბოლი. გუშინ ხმა გავრცელდა, ედხემ ფაშის ჯარი ალბანელებმა დამარცხესო. ეს ხმა ჯერ არავის დაუდასტურებია. ალბანეთში ორი ბატალიონი კიბეზაენა. ცნობები მოვდა, ჯანუბამ ახლ ალგილებშიც იფეთქო.

რუსეთი.

პეტერბურგი (4 ივლისი). ხელმწიფემ ინება და ნება დართო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს სტოლიპინს ალექსანდრე I ბოლგარეთის ორდენი ატარონ.

ნიკოლაევი. ქალაქის არხის თხრის დროს მამონტის ძვლები იპოვნეს.

მოსკოვი. ქალაქის უფროსმა ბრძანება გასცა, თვალ-უური ადევნონ ჩამოსულ ჩინელებს და შეუმოწმებელი პასპორტი ვისაც ამოაჩნდება, დაუყოვნებლივ დასტუსადონ.

კურსკი. დიანდაგზე კალუჟინის დროს მატარებელი ეკეთს დაეჯახა. 7 ვაგონი დაზიანდა. 14 მგზავრი მსუბუქად დაშავდა.

ასტრახანი. ადმოჩნდა ხოლერა. მოკვდა ერთი კაცი.

ნიჟნი-ნოვგოროდი. საძარკველი ჩაუვარეს სატუსადონ, რომელიც ათას კაცს დიტევს.

თეატრი და ხელოვნება

ხერსონი. 10 ივლისს ადგილობრივი დრამატიული საზოგადოება არტისტის ნ. გვარაძის რეჟისორობითა და მონაწილეობით წარმოდგენას გამართავს. წარმოდგენილ იქნება „სამშობლო“. 15 ივლისს გაიმართება სახალხო სეირნობა ბაზრით ამავე დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ.

—

სად. ულუბანლუ (ჯულფ. გზა). 18 ამ თვეს ბ. ისიდორე თელიას რეჟისორობით და ჩილოჩავას გამგეობით ქართულ-რუსული წარმოდგენა გაიმართა. ქართულად წარმოადგინეს „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“, რუსულად—„школьная пара“ სურათი ერთ მოქმედებად ბაბეკაისა.

ქართულში მონაწილეობას ღებულობდნენ: ქ-ნი მ. წერეთლისა, ბაქრაძის ასული, ბ. წერეთელი, თელია, ჩილოჩავა და დუმბაძე. რუსულში—ქ-ნი ქარუმიძისა, ბ. ფრელოვი და ტროიაკოვი. ორივე წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. ქართულში მშვენივრად ითამაშა ელისაბედის როლი ქ-ნმა მ. წერეთლისამ. ოსეფას როლში ბ. წერეთელმა ბევრი აცინა საზოგადოება, ნაკლი ჰქონდა მხოლოდ იმაში, რომ კილოს იცვლიდა ხან-გამოშვებით. კარგად ითამაშა აგრედვე სერგოს როლი ბ. ის. თელიამ. ცოტა სუსტი გამოდგა ბ. ჩილოჩავა აპალონის როლში, და ქ. ბაქრაძის ასული მა'შიკოს როლში უკანასკნელი როგორც პირველად გამოსული სცენაზე.

წარმოდგენას ხალხი ბლომად დასწრო. წმინდა შემოსავალი სცენის მოწყობილობის გასაუმჯობესებლად გადაიდო. მადლობის ღირსია ქ. მარიამ წერეთლისა, რომელმაც კეთილ ინება და არ დაიზარა წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება.

კარგი იქნება თეატრის საქმის ხელმძღვანელობას იკისრებდნენ აქაური უმფროსი მოსამსახურენი, მაგალ. დეპოს უმფროსი სკლადის ზედამხედველი და სხვა, რითაც შესაძლებელი გახდება სცენის მოყვარეთა მუდმივი დასის დაარსება, როგორც არის ამ'ერ კ. რკ. გზის ზოგიერთ სადგურებში.

პლატონა გოცირაძე.

—

სოფ. რგანი (შორაპნის მაზრა). შაბათს, 2 მკათათვეს, სოფ. რგანში (დ. ჭიათურის მახლობლადაა) კ. პავლიდის გამგეობით და ბ. ალ. წუწუნავას რეჟისორობით წარმოადგინეს „ბატონი და ყმა“ გად. შ. დადიანისაგან და „მონადირე“ თარ. ვ. გუნიასი. ჭიათურაში დაარსებული ბერძნების სკოლის სასარგებლოდ. წარმოდგენების მართვა ამ გვარ სოფლებში სიმპატიური საქმეა, თუ მასთანავე შეეცადოს მისცემენ ხალხს და რამდენადაც შეიძლება იაფ-ფასიან წარმოდგენებს გამართავენ, სადაც ყველა მსურველი დაესწრება.

თუმცა ამ წარმოდგენის ფასები სოფლის გლეხებისათვის ხელმისაწდომი არ იყო, მაგრამ ხალხი მაინც ბლომად დაესწრო, ბევრიც გაბრუნდა სახლში, რადგანაც ბილეთების ფასს ვერ შესწვდა.

წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა.

შ—ძრ.

ღია წერილი

(„კულტურას“ გამომცემელს ბ-ნ კ. თავართქილაძეს).

15 მარტს თქვენ მე გამიგზავნეთ „ანტიურ ქვეყნის“ თარგმანს. პროგრამასთან ერთ თქვენ ჩემთვის ჰონორარი სრულიად უნდა ჩაგებარებინათ მაისის დამლევამდე. თარგმანის ბეჭდვა უკვე დაწყებული გაქვთ. ერთი მესამედი (260 გვ. მეტი) გათავებულია, ხოლო ჰონორარს არსად ვხედავ ამიტომ იძულებული გავხდი დანარჩენი თარგმანი (17 რვეული) არ დამენებებია თქვენთვის. თქვენც აიღეთ და ახლა სხვა მთარგმნელს ეძებთ. ეს, ჩემის აზრით, მწერლობისა და გამომცემლობის ეთიკის დარღვევასა ნიშნავს. მაგრამ როგორც უნდა იყვეს, ვიდრე ზემოხსენებულ თხზულებას სხვა მთარგმნელს გადასცემდეთ, უმორჩილესად გთხოვთ ჩემი კუთვნილი გასამრჯელო (65 მან.) მომცეთ. ვინაიდან თარგმანი უკვე მოთავებული მაქვს. პასუხს ველი. წინადმდეგ შემთხვევაში, იძულებული გავხდები, სხვა გზას მივმართო.

დ. კახრაძე.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმ. გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ წერილს გაზ. „სახალხო გაზეთში“ **გახპარა თაოუზოვის საპასუხოდ.**

მის წერილზე (სახ. გაზ. № 337), რომლითაც მიწვევს სამედიატორო სასამართლოში „ღვთაების ეკლესიისკენ ასავალ გზის შეკვრის შესახებ“ და საქმის გარჩევასა თხოულობს, მივახსენებ შემდეგს:

აქ სამედიატორო სასამართლო და საქმის გარჩევა, სრულებით მეტად მიმაჩნია, რადგანაც თვით გზის შესახებ მე აღვნიშნე მხოლოდ ფაქტი, რომ რიყის ახლოს, ღვთაების ეკლესიასთან **გადის ქუჩა**, ამ ქუჩით დაიარება მთელი მაწანწალა. აქამდე თავისუფალი იყო გზა, მაგრამ ეხლა ბ-ნ თაოუზოვს ქვა ჩაეყარა და დუქნის აშენებას აპირობს თურმე, რითაც გზა შეიკვრება და სხვ.“ („სახ. გაზ. № 295).

თუ ამ **ფაქტს უარსა ჰყოფს** ბ-ნი თაოუზოვი, მაშინ დიახ რომ საჭიროა საქმის განმარტება.

რაც შეეხება „გზის ჩუქებას“, მე ვწერდი: „ეს გზა წინედაც 'მეუღლენიათ ვითომ როგორც მათ საკუთრება, რადგანაც ამბობენ ქალაქს უჩუქებიოთ და სხვ.“.

ქალაქს უჩუქებია, გადაუცია თუ მიუყიდნია, ამისი რა მოგახსენოთ, მე გაგონილი ვთქვი, მხოლოდ რომ გზა იყო, არის და ეხლა ისპობა, ეს აღვნიშნე და ქალაქის მამების ყურადღება მივაქცე, რომ თუნდაც ეჩუქებინათ, ქალაქმა გამოის ყიდოს ის გზა, რომელიც გზად ყოფილა დიდი ხნის განმავლობაში და ეხლა კი უნდა მოისპოს იგი-მეთქი.

აი საქმის არსებითი მხარე და ამის მეტს ვერც სასამართლო გამოარკვევს რასმეს.

მხოლოდ თუ გზა მართლა მის საკუთრება შეადგენს (ეს შეიძლება მართალიც იყოს), მაგრამ ეს აქამდე გარეგნობით არაფრით გამოხატულა, ამ გზით ყველანი ისე სარგებლობდნენ, როგორც საქალაქო გზით და ყველა ამის მიხედვით მეც საბუთი მქონდა ხმა ამოგელო თელავიდან.

ძველ გალავნელი.

—

წიგნების გამომცემლობა „კულტურა“

ბოდიშს იხდის რა ბელის მომწერთა და აგენტების წინაშე, პატივის ცემით აუწყებს ყველას, რომ, მიუხედავად ათასგვარი გარეგანი დაბრკოლებისა, რაზედაც ლაპარაკი შესაძლებელი გახდება მხოლოდ წიგნების დარიგების შემდეგ, ორი დარჩენილი წიგნი („აღდგომა“ და “ანტიური ქვეყანა“) იბეჭდება და არა უგვიანეს 10 აგვისტოსი დაურიგდება ხელის მომწერლებს.

გამომცემლობა დიდ მატერიალურ და ზნეობრივ ზარალს განიცდის დაგვიანების მიზეზი და სწორედ ამისთვის იღებს ყოველივე ზომას, რომ ადრე დაამთავროს და კიდევაც იმედოვნებს ზემოაღნიშნული დროისათვის დაარიგებას.

გამომცემლობა სთხოვს საზოგადოებას ეჭვი არ შეეტანოს იმაში, რომ გამოცემა სისწრაფით მზადდება, რასაც დაამოწმებენ ყველა თბილისელი ხელის მოწერლები.

წიგნ. გამომც გამგე.

კ. თავართქილაძე.

—

ბატონო რედაქტორო! 1910 წლ. ნოემბრის თვეში, ჩვენ მივიღეთ ბ. ილია ანტონის ძე მეგრელიშვილისაგან 11 მან. და 55 კაპ. ბათუმში სხვა და სხვა პირთაგან შეკრებილი ს. ქვიანის უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ*) და უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის საშვალებით მადლობა გამოვუცხადოთ რაც-გორც ილიას, აგრედვე რომელთაც ამ საქმისათვის არ დაეშურეს თავისი წვლილი. აი შემომწირველთა სია:

რაფიელ ან. ბერძენიშვილმა. Захарій Зосинъ-მა და ბესარიონ კუკულავამ თითო მანეთი.

იაგორ გიორგაძემ, ნიკოლა გოგელიამ, ვანო გიორგაძემ, სეფე ანდღულაძემ, გრიგოლ მოსიძემ, ნესტორ თალაკვაძემ, სეფე არ. ბერძენიშვილმა, მოსე გიორგაძემ, ნოე ჯორშენაძემ, ბართლომე ტაკიძემ, ირაკლი გვიშ-რიძემ, ვანო თოფურიამ, დავით ხარატმა, Я. И. Теръ-Григорянцъ-მა და სიმონ გიორგაძემ თა-თითა შაური.

სევერიანე ქურიძემ 40 კ., სამსონ გეგენავამ 25 კ., იასონ ვაბუნიამ და №—20 კაპ.

ქვიანის ბიბლ. სამკით. გამგე **მღ. თეოფანე კალანდარიშვილი.**

*) ამაზე მადლობის წერილი თავის დროზედ გაგგზავნეთ გაზ. „ხალხ“-ის რედაქციაში, მაგრამ ამ გაზეთის დასურვის გამო ჩვენი წერილი აღარ დაბეჭდილა.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

(დრო პეტერბურგის საათითაა ჩაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 53 წუთითაა უკან).

ტფილისიდან გადის:

1) **ბათუმისაკენ:** N I—III კლ. ჩქარი მატ. საღ. 10 ს. 10 ხუთზე. კოლში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8. ს. 45 წ.

2) **საფოსტო მატარ.** N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., კოლში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს.37წ.

3) **სახალხო მატ.** დღის 4 ს. 17 წ. კოლში ჩადის 6 ს. 55 წ., მიხაილოვში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 23 წ.

4) **შერეული მატ.** № 107, მეოთხ. კლასით, გადის საღ. 9 ს. 5 წ., კოლში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვში ღამე 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

ბაქოსაკენ: 1) **სამგზავრო** N 6. I—II. კლ. გადის დღის 2 ს. 56 წ., **განჯაში** ჩადის 8 ს. 59 წ., **ბალაჯარაში** 6 ს. 38 წ., **ბაქოში** დილ. 7 ს. 15 წ.

2) **საფოსტო** მატ. N 4, I—III კლ. დილ. 1 ს. 38 წ., **განჯაში** 5 ს. 39 წ., **ბაქოში** 1 ს. 44 წ.

1 ბ) **ჩქარი მატ.** № 2. I—III კლ. გადის 8 ს. 40 წ.დილ., **განჯაში** იქნება ნაშუადღ. 1 ს. 44 წ., **ბალაჯარაში** საღ. 10 ს. 2 წ., **ბაქოში** საღ. 10 ს. 35 წ.

შერეული მატ. N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., **განჯაში** იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., **ბალაჯარაში** 3 ს. 35 წ., **ბაქოში** ღამ. 4 ს. 46 წ.

ბორჯომისაკენ: 1) **სახალხო** მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ. 7 ს. 20 წ., **ბორჯომში** ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) **სახალხო** მატ. № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. **ბორჯომში** ჩადის საღ. 7 ს. 30 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ:

1) **საფოსტო** მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. **ჯულფაში** ჩადის ღამ. 14 ს. 48 წ.

2) **სამგზავრო და საძონლ.** N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. **ერევანში** ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: ჩქარი მარარ. პლატხ. N 1 I—III კლ. საღ. 9 ს. 26 წ. **სამგზავრო** N 5. I—III კლ. დღ. 3 ს. 27 წ. **საფოსტო** N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., **ნარევი** N 107. მე-4 კლასით საღ. 8 ს. 7 წ.

ბათომიდან: **სამგზავრო** N 6, I—III კლ. ნაშ ადღ. 1 ს. 56 წ., **საფოსტო** N 4, საღ. 10 ს. 42 წ., **ჩქარი** N 2, დილ. 7 ს. 54 წ. **ნარევი** მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

ჯულფიდან: **საფ.** N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., **სამგზავრო** და **საქ.** N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ერევნიდან: **სახალ.** შუადღ. 12 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: **სამგზავრო** N 7 —8, დილ. 6 ს. 20 წ., **სამგზ.** N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.

ქუთაისიდან გადის:

ტფილისისაკენ: **სახალხო** 5 ს. 15 წ. დილით., **საფოსტო** 2 ს. 3 წ. დღით. **ჩქარი** 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათომისაკენ: **სახალხო** 1 ს. 00 წ. ღამ. **საფოსტო** 6 ს. 52 წ. **საღ.**, **ჩქარი** 5 ს. 15 წ. ღამ., **სახალხო** 4 ს. 22 წ. დღით.

შორაპნისაკენ: **სახ.** 5 ს. 6 წ. **სადამ.**

ტყიბულისაკენ: **სახ.** 3 ს. 28 წ. დღით. **სახ.-საქ.** 7 ს. 50 წ. დილით.

ქუთაისს მოდის:

ტფილისიდან: **სახ.** 2 ს. 25 წ **ღამ.**, **საფ** 8 ს. 20 წ. **საღ.**, **ჩქარი** 7 ს. 14 წ. **დილით**

ბათომიდან: **სახ.** 7 ს. 14 წ. **დილ.**, **საფ.** 3 ს. 25 წ. **დღ.**, **ჩქარი** 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: **სახალ.** 7 ს. 14 წ **დღ.**, **საფ.** 3 ს. 25 წ. **დღ.**, **სახ.** 10 ს. 21 წ. **დილით**

შორაპნიდან: **სახალხო** 9 ს. 49 წ. **დილ.**

ტყიბულიდან: **სახ.** 11 ს. 12 წ. **დილით.** **სახალხო-საქ.** 6 ს. 46 წ **საღამოს.**

ტფილისიდან მცხეთაში:

სახალხო მატ. N 77, I—III კლ. **გადის ნაშუადღ.** 2 ს. 43 წ., **მცხეთაში** **მიდის** **ღამ**, 3 ს. 26 წ.

სახ. მატ. № 77, I—III კლ. **გადის** **დილ.** 8 ს., **მცხეთაში** **მიდის** **დილის** 8 ს. 43 წ.

მცხეთიდან ტფილისში:

სახ. მატ. N 76, I—III კლ. **გამოდის** 12 ს. 11 წ., **ტფილ.** **ჩამოდის** 12 ს. 50 წ., **სახალ ხო** **მატარ.** N 76, **გამოდის** **საღ.** 6 ს. 51 წ. **ტფილისში** **მოდის** **საღ.** 7 ს. 30 წ.

შენიშვნები: 1) **გადაუჯდომლად** **პირდაპირი** **მგზავრობა** **ტფილის-ბაქო-როსტოვამდე** **შეიძლება** **განსაკუთრებულ** **ვაგონებით**, **რომელიც** **ამიერ-კავკასიის** I **და** **მე-2** **მატარებელს** **მიესდევს**, **ხოლო** **კავკასიის** **მატ.** **მე-5** **და** **მე-6**, **ყველა** **ვაგონები** **ძალაგარტითაა** (**ბაკუთარ.** **საწოლებითა**).

2) 15 **მაისიდან** **შეიძლება** **პირდაპირ** **გადაუჯდომლად** **მგზავრობა** **ტფილის-ბაქოკისლავოდსკამდე**, **საერთამორისო-ძალილო** **ვაგონებით** **და** **ამიერ-კავკასიის** NN 1—2, **კავკასის** **გზის** N 5—6.

3) 1) **მაისიდან** **მიმოდიან** **ბაკურიანის** **ლიანდაგზე** **სამგზავრო** № 76—77, **მცხეთისა** **ბაგარაკე** № 76, 77, 76a, 77a.

4) **შერეული** **სახალხო** **მატ.** **მე-IV** **კლ.** N 106 **და** 107, **ბაქოსა** **და** **ბათომს** **შუა** **საჭიროების** **მიხედვით** **ივლის.**

განცხადებანი

დოქტ. ნავასარდიანისა

ოფთალმოლოგ

ყოველ **დღე**, **გეორგიევსკ** **ქარდ**

დაარსებულია 1880 **წელს.**

(ეკატერინოგრადის ქალაქის პირველი)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ე. ბ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა ინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებია, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. ბულანი: 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

მ. ბ. ბეგეტისიანი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. ბოგანოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ა. ბ. კარაბეტიანი: 1—1½ ს. შინ, გან. და საბავშვო.

ბ. ბ. ბაგასაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი: 6—8 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გეიბეკიანა-ენგელი: 6—8½ საბებია, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ფ. ვარციშევსკი: 6—7 ს. შინ. განი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** **წამლობა**, **კონსულტაციურად.**

რჩევა 50 **კ.** **დარიგებს** **უფასოდ**, **ბინსულ** **ტაციები** **და** **ოპერაციები** **შეთანხმებით** **სამკურნალოს** **დირექტორი** **მედიცინ.**

დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(**წ.** (1168—74)

მამული

500 დესეტინა. — **რომელიც** **შეადგენს** **ერთიან** **ნაწილს**, **გამიჯნულს** **და** **თავისუფალს** **ყოველი** **დავისაგან**,

იყიდება.

ამ **მამულს** **აქვს** **10,000** **მან.** **ბანკის** **ვალი**, **საღი** **მთის** **ჰავა**, **კარგი** **წყაროს** **წყლები**, **იგი** **შეიცავს** **ახალმოზარდ** **ტყეს** **და** **200** **დეს.** **მეტს** **შავ** **და** **ურწყავ** **სახნავ** **მიწას.** **მცხეთის** **სადგურიდან** (**ამიერ** **კავკასიის** **რკინის** **გზისა**) **20** **ვერსის** **მანძილზე** **მდებარეობს.**

ნიმართვა **შეიძლება** **პირადათ** **ანუ** **წერილით**, **შემდეგის** **ადრესით:**

ტფილისში, **თონეთის** **შესახვევი**, **სახლი** № **5**, **ნ. ა. ყიფიანს.**

(3.712.1)

გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც **შედიან** **შემდეგ** **გაზეთების** **და** **ჟურნალების** **რედაქციები:** „**სახალხო** **გაზეთი**“, „**ზაკავკასსკაია** **რეჩი**“, „**ჰორიზონტი**“, „**სურნალდაკი**“, „**ხათაბალა**“, **ჰყავთ** **აგენტები:** **ბათუმსა**, **სოხუმსა**, **ფოთსა**, **ოზურგეთსა**, **ხონსა**, **ქუთაისსა**, **ქიათურასა**, **გორსა**, **ბაქოს**, **მიხაილოვსა**, **ჩოხატაურსა**, **სამტრედიასა** **ყვირილაში**, **ზუგდიდში**, **ლანჩხუთში**, **სუფსაში**, **სენაკსა**, **სიღნაღში** **და** **თელავში.**

საჭიროა **აგენტები:** **განჯისა**, **ყარსისა**, **გუმბრისა** (**ალექსანდროპოლი**) **ნოვოროსიისკისა**, **ეკატერინოდარისა**, **ნუხისა**, **შემახისა**, **კავკავისა**, **არმავირისა**, **დონის-როსტოვისა**, **ჯულფისა**, **დერბენდისა.**

მიჰმართეთ **ერასტე** **დავითის** **ძე** **გორდელაძეს** **შემდეგის** **ადრესით:** **ტფილისი**, **ერევნის** **მოედანი**, **სახლი** **ხარაზოვისა.**

ძ. ზ. წ. ძ. ზ. საზოგადოების **წიგნის** **მაღაზიაში**

იყიდება შემდეგი წიგნები:

არჩილ **ჯორჯაძისა:** „**ეროვნულ** **პრობლემის** **გარშემო**“ **ფასი** 75 **კაპ.**

Batonიისა: „**ერი** **და** **კაცობრიობა** **განხილული** **სოციოლოგიური** **მხრით**“.—**ფასი** 1 **მან.** 20 **კაპ.**

ვ. ფიფანისა: „**სამეგრელოს** **მთავარი** **ბატონიშვილი** **ლევან**“—**ისტორ.** **დრამა**—**ფასი** 40 **კაპ.**

ზემო **აღნიშნული** **წიგნები** **იყიდება** **აგრედვე** **გოლოვინის** **პროსპექტზე** „**ახალი** **სიტყვის**“ (“**Новая рѣчь**“) **წიგნ.** **მაღაზიაში** **და** **ქუთაისში**—**მთავრიშვილის** **წიგნის** **მაღაზიაში.**

სალიანის **თევზთ** **მრეწველ** **და** **მოვაჭრეთ**

ძმ. კეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის **ქ.**, **საკუთარი** **სახლი** № **9**, **ტელეფონი** № **712**,

ყოველ **დღე** **განუწყვეტლივ** **მოდის**

✦ ახალ-ახალი ✦

ოსეტრინა (**ზუთხი**) **და** **სევრიუგა** (**ტარანი**).

ზიზილალა

ახალი (**Зернистая**).

პარკისა **და** **კოლოფებით**

საუკეთესო **დოშები** **და** **ზურგიელები**

მიღებულია **დვინის** **ორაგული** (**სიომგა**)

მივიღეთ **საუკეთესო** **პაიხუნი** **ხიზილალა**

გირვანქა 1 **მ.** 60 **კ.** 2 **მ.** **დან** 2 **მან.** 40 **კ.-დე.**

ოთხი **ხიზილალა** (**Кетовая**). 60 **კ.** **ზირ.**

და **ბელა-რიბეც** 50 **კ.**

აგრე **მივიღეთ** **დიდი** **პარტია** **ყოველნაირი** **კონსერვები.**

(**წ**—1052—)

სტამბა „ხორაპანი“, მდათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კუბლელაშვილი.